ხელშეკრულება №-----20
ვიდეო სამეთვალყურეო სისტემის
მონტაჟის შესახებ

ქ. სენაკი --1.11---------------2011 წელი

ქ.ზუგდიდის №8-ე საჯარო სკოლა წარმოდგენილი მისი დირექტორის -[illegible]-- --[illegible]---- სახით ერთის მხრივ შემდგომში „დამკვეთი“ და ი/მ „ნინო გუნია“ წარმოდგენილი მისი დირექტორის **ნინო გუნიას** სახით მეორეს მხრივ, შემდგომში „შემსრულებელი“, ვმოქმედებთ რა ჩვენთვის მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და შესრულების ვადა

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე „შემსრულებელი“ კისრულობს ვალდებულებას უზრუნველყოს „დამკვეთის“ მფლობელობაში არსებულ შენობაში ვიდეო სამეთვალყურეო სისტემის სამონტაჟო-გასამართი სამუშაოების შესრულება, ხოლო დამკვეთი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი სამუშაოები და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

2. ტექნიკური და საგარანტიო პირობები. ამ პირობებთან დაკავშირებული ვალდებულებები

2.1. ვიდეო სამეთვალყურეო სისტემაში შემავალი მოწყობილობების ხარისხი სრულად უნდა შეესაბამებოდეს საპასპორტო (მისი შემცველ სხვა ტექნიკურ დოკუმენტებში მითითებულ) მონაცემებს.

2.2. შემსრულებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული აპარატურა და მომსახურება იქნება ხარისხიანი, რაც გულისხმობს სისტემების შეუფერხებელი მუშაობის შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ სისტემების მომხმარებლის მხრიდან დაცული/შესრულებული იქნება ამ პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნები/ვალდებულებები.

2.3. სისტემების შემადგენელ აპარატურაზე საგარანტიო ვადა განისაზღვრება 6 კალენდარული თვით.

2.4. 2.3. პუნქტში მითითებულ მოწყობილობებზე გარანტიის მოქმედების ვადის ათვლა იწყება მომსახურების სრულად მიღების თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა ხელმოწერის დღიდან.

2.5. სახელშეკრულებო თანხის ფარგლებში შედის შემსრულებელის ვალდებულობა, რომ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 6 თვის განმავლობაში უსასყიდლოდ აღმოფხვრას სისტემების გაუმართავი მუშაობის ნებისმიერი ის მიზეზი, რომელიც გამომდინარეობს მისი ჩვეულებრივი ექსპლუატაციის პირობებიდან.

2.6. შემსრულებელი ვალდებულია საგარანტიო ვადის განმავლობაში, დამკვეთის მხრიდან შეტყობინების მიღებიდან 2 დღის განმავლობაში უზრუნველყოს სისტემის გაუმართავი მუშაობის გამომწვევი მიზეზის

აღმოფხვრა დამკვეთის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

2.8. გარანტიის მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში დამკვეთს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს შემსრულებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება.

2.9. საგარანტიო პირობები ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სისტემის მომხმარებლის მხრიდან დაცული იქნა ელექტრომოწყობილობების ექსპლუატაციის წესები. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე სისტემის გაუმართავი მუშაობის მიზეზს წარმოადგენს არასწორი ექსპლუატაცია ან სხვა ფაქტორი (მექანიკური დაზიანება, ძაბვის ცვალებადობა და ა.შ.), სისტემის გაუმართავი მუშაობის მიზეზის აღმოფხრა განხორციელდება შემსრულებელსა და დამკვეთს შორის ცალკე შეთანხმების საფუძველზე.

3. მომსახურების ღირებულება

3.1. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა დღგ-ის ჩათვლით შეადგენს **280 (ორასოცდაოთხმოცი)** ლარს **00** თეთრს. სახელშეკრულებო თანხის ზუსტი განსაზღვრის საფუძველს წარმოადგენს მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით ფაქტობრივად გახარჯული ყველა ტიპის სადენების, გოფრირებული მილის, საკაბელო არხის, სახარჯი მასალების და მათი მონტაჟის ღირებულების მიხედვით შესაბამისად კორექტირებული საწყისი თანხა.

3.2. მომსახურების ღირებულება და სამუშაოებში გამოყენებული საქონლის დასახელებები, მოდელები, მწარმოებლები, რაოდენობები, ერთეულის და საერთო ღირებულება განისაზღვრება დანართით №1, რომლებიც წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთლიანი მომსახურება იყოფა ორ ეტაპად, რომლის პირველი ეტაპი მოიცავს დაკაბელების პროცესს, ხოლო მეორე აპარატურის დამონტაჟების და გამართვა-გაშვების სამუშაოებს.

4.3. მომსახურების ან მისი ნაწილის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს შემსრულებელი.

4.4. მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტზე ხელი უნდა მოაწეროს დამკვეთის და შემსრულებლის მხრიდან, საამისოდ უფლებამოსილმა პირებმა.

4.5. დამკვეთი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს შემსრულებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული .მომსახურების ნაწილის და წუნდების მიზეზის მითითებით.

4.6. მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის დღიდან არაუგვიანეს მე-2 დღისა, შემსრულებელი დამკვეთს წარუდგენს აქტში მითითებულ მომსახურების ნაწილზე გამოწერილ საგადასახადო ა/ფაქტურას.

5. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

5.1. დამკვეთი ვალდებულია:

5.1.1. უზრუნველყოს **ობიექტის** ტერიტორიაზე შემსრულებლის თანამშრომლების დაშვება და შეუზღუდავი გადაადგილება წინასწარ შეთანხმებული სამუშაო გრაფიკის მიხედვით. სამუშაო გრაფიკის შედგენისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის მომენტი, რომ შემსრულებლის თანამშრომლების ტერიტორიაზე ყოფნის საათების რაოდენობა არ უნდა იყოს კვირის განმავლობაში 50 საათზე ნაკლები, ხოლო ტერიტორიაზე სამუშაო დროის ინტერვალი მოქცეული იყოს დილის 10 საათიდან საღამოს 21 საათამდე შუალედში;

5.1.2. სამუშაოთა განხორციელების პერიოდში **ობიექტის** ტერიტორიაზე უზრუნველყოს შემსრულებლის თანამშრომლებისათვის და მოწყობილობებისათვის სამუშაო ოთახის (10-15$მ^2$ ფართობის) გამოყოფა და აიღოს სრული პასუხისმგებლობა ამ ოთახში განთავსებული საქონლის (მ.შ.სამუშაო იარაღის) დაცვაზე;

5.1.3. შემსრულებლის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად მისთვის წარდგენილი მიღება-ჩაბარების აქტზე, არა უმეტეს 3 დღის განმავლობაში, უზრუნველყოს საამისოდ უფლებამოსილი პირების ხელმოწერა. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის უფლებამოსილ პირად ჩაითვლება დამკვეთის ის თანამშრომელი, რომელიც მონიტორინგს ახორციელებდა შემსრულებლის მიერ შესაბამის ეტაპზე განხორციელებულ მომსახურების პროცესზე.

5.1.4. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და წესით უზრუნველყოს შემსრულებლისათვის თანხის გადახდა.

5.2. დამკვეთს უფლება აქვს:

5.2.1. აკონტროლოს შემსრულებლის მიერ წარმოებული მიმდინარე სამუშაოების ნებისმიერი ეტაპი და სახელშეკრულებო თანხის ფარგლებში შეიტანოს შესაბამისი ტექნიკური კორექტივები;

5.2.2. სამუშაოების ტექნიკურ მხარესთან დაკავშირებით შემსრულებლისაგან მოითხოვოს ნებისმიერი ინფორმაცია;

5.2.3. საჭიროების შემთხვევაში, მოსთხოვოს დამკვეთს **ვიდეო სამეთვალყურეო სისტემაში** შემავალი ელექტრომოწყობილობების ტექნიკური ექსპლუატაციის პირობების ქართულ ენაზე თარგმნა.

5.3. შემსრულებელი ვალდებულია:

5.3.1. ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2 დღის განმავლობაში დაიწყოს და დაწყებიდან 7 დღის განმავლობაში დაასრულოს სამუშაო მთლიანად თუ დამკვეთის მხრიდან იქნება უზრუნველყოფილი მუშაობისთვის აუცილებელი პირობები.

5.3.2. დამკვეთის მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობის ყოველ ფაქტზე, შესაბამისი ინფორმაცია დაუყოვნებლივ, წერილობითი ფორმით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით მიაწოდოს დამკვეთს;

5.3.3. სამუშაოების დასრულების და სისტემის ექსპლუატაციაში გაშვების დღიდან 10 დღის განმავლობაში დამკვეთისა და სისტემის მომხმარებლის

შესაბამის პერსონალს დეტალურად გააცნოს სისტემის ექსპლუატაციის და მისი მართვის წესები.
5.3.4. შეასრულოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.
5.4. შემსრულებელს უფლება აქვს:
5.4.1. არ დაიწყოს ან გააგრძელოს სამუშაოები დამკვეთის ან სისტემის მხრიდან ამ ხელშეკრულებით მათზე დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში;

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშწორება მოხდება სამუშაოების სრულად შესრულების მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 3 დღის განმავლობაში.
6.2 ანგარიშსწორება შემსრულებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.
6.3 ანგარიშსწორება შემსრულებელთან განხორციელდება ლარებში.

7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

7.1 შემსრულებლის მიერ მომსახურების გაწევის ვადების დარღვევის შემთხვევაში, რომელიც არ არის გამოწვეული დამკვეთის მხრიდან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შედეგად, შემსრულებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, რომელიც გამოიქვითება დამკვეთის მიერ შემსრულებელზე გადასახდელი თანხიდან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
8.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. უფლებების გადაცემა

9.1 შემსრულებელს არ აქვს უფლება დამკვეთის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს

მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

11.1 დამკვეთს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, შემსრულებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ შემსრულებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან დამკვეთის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი მომსახურება ან მისი ნაწილი;

ბ) თუ შემსრულებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს შემსრულებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.3 დამკვეთს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ მისთვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) შემსრულებელის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში დამკვეთი ვალდებულია აუნაზღაუროს შემსრულებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

12. ინსპექტირება ხელშეკრულების შესრულებაზე

ვალდებულებების შესრულებაზე. დამკვეთმა წერილობითი სახით და დროულად უნდა აცნობოს შემსრულებელს, ამ მიზნებისათვის განკუთვნილი თავისი წარმომადგენლების შესახებ.

12.2 დამკვეთი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსრულებელი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში თუ დამკვეთი ინსპექტირების მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მათ შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით დამკვეთი.

12.3 შემსრულებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და შემსრულებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,,,ფორს-მაჟორი,,,, ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული დამკვეთის და/ან შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 დამკვეთმა და შემსრულებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში დამკვეთი და შემსრულებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

15. გამოყენებული სამართალი

15.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. ხელშეკრულების ენა

16.1 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის სრულდება ქართულ ენაზე.

17. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

17.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებს წერილობით ფორმას.

17.2 წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. აუცილებლობის შემთხვევაში ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინებების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაზავნის მეშვეობით..

17.3 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელისმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ მის სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

- **მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები**

"დამკვეთი"

იურიდიული მისამართი:

ტელ.: ----------

ს/კ 219986629

ანგარიშის № 3608010117005 24

სს "---

დამკვეთის სახელით

დირექტორი

„შემსრულებელი"

ი/მ „ნინო გუნია"

ქ. სენაკი, რუსთაველის №229

ს/კ 39001002982

ანგარიშის №345058200

სს„საქართველოს ბანკის"

სენაკის. ფილიალი

ტელ: 8413274400,

შემსრულებლის სახელით

ნინო გუნია

ნინო გუნია

დირექტორი

ნ. გუნია

დირექტორი